

უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის, ქირით უზრუნველყოფის
2018 წლის პროგრამა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. პროგრამის სახელწოდება: უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის, ქირით უზრუნველყოფის 2018 წლის პროგრამა.
2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 1 იანვარი 2018 წელი – 31 დეკემბერი 2018 წელი.
3. პროგრამის ბიუჯეტი: 5 000 (ხუთიათასი) ლარი.
4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი.
5. პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალური დახმარების თანხა: თვეში – არაუმეტეს 200 (ორასი) ლარი.
6. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი

1. პროგრამის მიზანია უსახლკარო ადამიანების აღრიცხვა და დროებითი საცხოვრებელი უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.
2. იმ ოჯახების ბინის ქირით უზრუნველყოფა, რომლებმაც გაუთვალისწინებელი გარემოების გამო დაკარგეს საცხოვრებელი და დღემდე იმყოფებიან თავშესაფრის გარეშე.

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და ამავე დროს მცხოვრები უსახლკარო ოჯახები, რომელთაც არ გააჩნიათ სხვა საცხოვრებელი ფართი.

მუხლი 4. დაფინანსების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია და მისი წარდგენის წესი

- ამ პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარადგინონ:
- ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;
 - ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;
 - გ) საცხოვრებელი ფართობის არქონის დამადასტურებელი დოკუმენტი (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან);
 - დ) შესაბამის ტერიტორიულ ორგანოში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის წერილობითი რეკომენდაცია განმცხადებლის საცხოვრებელი ფართის არქონის შესახებ;
 - ე. ქირავნობის ხელშეკრულება (არაუმეტეს 6 თვის ვადით);
 - ვ. გამქირავებლის საბანკო ანგარიში ლიბერთი ბანკიდან და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ქონების საკუთრების შესახებ.

მუხლი 5. დახმარების გაცემის წესი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის სამუშაო ჯგუფი.
2. სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციაზე, მერის შესაბამისი გადაწყვეტილების შესრულებაზე პასუხისმგებელია ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური, რომელიც ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.
3. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე ნინო ჯანელიძე

